ღანი

„ღანი“ - ღია კონკურსი ახალგაზრდა ხელოვანებისთვის

არქიტექტურა

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ

▪ სტუდენტებსა და ახალგაზრდა არქიტექტორებს
▪ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად
▪ თითოეულ მონაწილეს /ან მონაწილეთა ჯგუფს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი ნამუშევარი

თემატიკა

მონაწილემ უნდა წარადგინოს **მედიათეკის კონცეპტუალური ესკიზური პროექტი**, რომელშიც არქიტექტურულ-მხატვრული ხერხებით გახსნილი უნდა იყოს საკონკურსო თემატიკა - კერძოდ ასომთავრული ანბანის ასონიშანი ***„ღანი“-ს*** **(** ∩ **)** გამოსახულება ან თემასთან დაკავშირებული ალეგორიული სიმბოლოები.

მთავარი თემებია:
▪ სიყვარული
▪ სულიერი აღმასვლა
▪ ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, განღმრთობა

მედიათეკის ძირითადი ზონები

პროექტში უნდა მოიაზრებოდეს შემდეგი სივრცეები:

- მედია-საკითხავი დარბაზი
- ინტერაქტიული საგანმანათლებლო სივრცე
- ღია საზოგადოებრივი ზონა
- ციფრული კვლევის ოთახები (VR/AR ტექნოლოგიებით)
- საგამოფენო გალერეა
- დამხმარე და ტექნიკური ზონები

საკონკურსო მასალები

▪ გრაფიკული მასალები: გენგეგმა, გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები (PDF)
▪ კონცეფციის განმარტებითი ბარათი (მაქს. 1 გვერდი)
▪ შევსებული განაცხადის ფორმა – დანართი 1

📌 **შენიშვნა:**

- კონკურსანტის ინტერესებიდან გამომდინარე ნამუშევრებზე არ უნდა იყოს მითითებული მისი მაიდენტიფიცირებადი მონაცემები, მათ შორის: ავტორის სახელი, გვარი, ლოგო ან კონტაქტები. ფოტოზე არ უნდა გამოჩნდეს ავტორის სახელი ან ბრენდირება.
- ავტორის სახელი, ლოგო ან კონტაქტები. ფოტოზე არ უნდა გამოჩნდეს ავტორის სახელი ან ბრენდირება.
- საკონკურსო ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს კონკურსის დასრულებამდე (25 ოქტომბერი), მათ შორის სოციალურ მედიაში, ვებსაიტზე ან სხვა არხებით; წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება კონკურსიდან.

საგამოფენო მასალები

სტანდარტული პრეზენტაცია (პლანშეტები):

▪ მაქსიმუმ 2 პლანშეტი, ვერტიკალური კომპოზიცია (PDF)
▪ ფორმატი: A0 (841 x 1189 მმ)
▪ უნდა მოიცავდეს: გენგეგმას, ჭრილებს, ფასადებს, რენდერებს და მოკლე ტექსტურ კონცეფციას

📌 **შენიშვნა:**

მონაწილეს წინასწარ მიეწოდება წარმოსადგენი სადემონსტრაციო მასალის შაბლონი და მათი მოწოდების ვადები.

სადემონსტრაციო პლანშეტი გაფორმება ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული შაბლონის მიხედვით; მისი ბეჭდვა უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზატორის მიერ.

მაკეტი (სურვილისამებრ):

▪ მასალა და მასშტაბი — თავისუფალია

📌 **შენიშვნა:**

მონაწილე ადასტურებს, რომ წარდგენილ ნამუშევარზე ავტორობა ეკუთვნის მას. საავტორო ჯგუფის შემთხვევაში - წარმოადგენს ავტორთა სიას. ორგანიზატორს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, შეამოწმოს ნამუშევრის ავტორობა.

- ➢ დამატებითი კითხვებისთვის დაუკავშირდით ასოციაციას:

✉ ელფოსტა: ghani@tasa.ge
☎ ტელეფონი: (+995) 555 44 22 01

TASA
Tbilisi Architechts and Sculptors Association
თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია